პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 21 აგვისტო, 1943 წ. № 176 (6801). ფასი 20 კაპ.

ზრუნვა მასწავლებლისათვის

„პრავდის“ მოწინავე — 20 აგვისტო

ნაყოფიერად და ენერგიულად შრომობს სახალხო განათლების სარბიელზე საბჭოთა მასწავლებლობა. იგი პატიოსნად ასრულებს თავის პასუხსაგებ ამოცანებს —ასწავლის და ზრდის ჩვენს ბავშვებს, ჩვენს საუცხოო ახალგაზრდობას. ომიანობის ვითარების პირობებში გარდუვალი სიძნელეები წარმოიშვა სკოლის წინაშეც. მაგრამ როგორიც უნდა იყოს სიძნელენი, სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი უნდა სწავლობდეს, სკოლა უნდა მუშაობდეს, მეცადინეობა ორგანიზებულად, ნორმალურად უნდა მიმდინარეობდეს, სასწავლო პროგრამები მთლიანად უნდა სრულდებოდეს. ასეთია ჩვენი ხალხის მოთხოვნა.

საბჭოთა ხალხის პატრიოტული აღფრთოვანება სამამულო ომის დღეებში მოედო აგრეთვე მასწავლებელთა და მათ მოწაფეთა, სკოლების მოსწავლეთა არმიას. ამ აღფრთოვანების გამოხატულებას წარმოადგენს მოსწავლეთა და ქალთა მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში: თავიანთ მასწავლებელთა ხელმძღვანელობით ისინი დაეხმარნენ და კვლავ ეხმარებიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უხვი მოსავლის მოყვანასა და აღებაში.

საბჭოთა მასწავლებლები გამოდიან აგიტატორებად, აღაგზნებენ ხალხის ფართო მასებს შრომითი საგმირო საქმეებისათვის საძულველ მტერზე გასამარჯვებლად. საბჭოთა მასწავლებლები მამობრივად ზრუნავენ და ასწავლიან იმ ბავშვებს, რომლებიც ომის დროს განწმორებულ იქნენ თავიანთ მშობლებს ან ობლები გახდნენ. საბჭოთა მასწავლებლები ყველა მშრომელთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ განთავისუფლებული ქალაქებისა და სოფლების აღდგენაში, მოკლე ხანში განაახლებენ ხოლმე სკოლების, ბიბლიოთეკების, კლუბების და სხვა კულტურულ დაწესებულებათა საქმიანობას.

საბჭოთა საშობლომ, რომელიც მაღალ შეფასებას აძლევს მასწავლებელთა მუშაობას, საყოველთაო-სახალხო პატივითა და ყურადღებით შემოსა ისინი. ბევრი მოწინავე მასწავლებელი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, ბევრ მათგანს მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის წოდება. მთავრობა ზრუნავს მასწავლებელთა მატერიალურ-ყოფაცხოვრებითი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

ამ დღეებში სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება მასწავლებელთა და დაწყებითი და საშუალო სკოლების სხვა მუშაკთა ხელფასის გადიდების შესახებ. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა ჩვენს ქვეყანაში სკოლას, სახალხო განათლებას, მის მოღვაწეებს. საბჭოთა სახელმწიფო უდიდეს სახსრებს ხარჯავს ომის საჭიროებისათვის. და ის გარემოება, რომ დადგენილება მიღებულია ომიანობის დროის ძნელ პირობებში, დამარწმუნებლად ადასტურებს, რაოდენ ძვირფასია ჩვენი ხალხისათვის სკოლის ინტერესები, რაოდენ ახლოს ცხოვრობს ხალხი მისი ცხოვრებით, მისი საჭიროებებით.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ადიფერენცირებს მასწავლებელთა კადრების შრომის ანაზღაურებას. თუ მასწავლებელს აქვს პედაგოგიური მუშაობის დიდი სტაჟი, თუ მას აქვს უფრო მაღალი საგანმანათლებლო ცენზი, ის მეტ ხელფასს მიიღებს.

ჩვენს ქვეყანაში, სადაც ბევრი პედაგოგიური სასწავლებელი არსებობს, მასწავლებელს აქვს ყველა შესაძლებლობა აიმაღლოს თავისი კვალიფიკაცია, სრულჰყოს თავისი ცოდნა, თავისი ოსტატობა. პარტიისა და მთავრობის დადგენილება სტიმული იქნება მასწავლებელთა კვალიფიკაციის, მათი კულტურის ამაღლებისა, ხელს შეუწყობს საბჭოთა სკოლის საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის შემდგომს გაუმჯობესებას.

სტალინური ზრუნვა სახალხო მასწავლებლისათვის თავის გამოხატულებას პოულობს საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში. საკ. კ. პ. (ბ) სარატოვის საოლქო კომიტეტის ბიურომ და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ამ დღეებში მიიღეს გადაწყვეტილება, რის მიხედვითაც ოლქის ქალაქებსა და რაიონებში იქმნება სპეციალური კომისიები, რომლებიც ვალდებული არიან შეამოწმონ მასწავლებელთა მატერიალურ-ყოფაცხოვრებითი პირობები და აუცილებელი დახმარება აღმოუჩინონ იმათ, ვინც ამას საჭიროებს. 1 ნოემბრისათვის უნდა დამთავრდეს მასწავლებელთათვის სათბობის დამზადება და მიტანა მთელი გასათბობი სეზონისათვის. ვოლსკსა და ბალაშოვოში ეწყობა სპეციალური სასადილოები მასწავლებელთათვის, ხოლო სარატოვში —დიეტური კვების სასადილო.

ხოლო რამდენია ისეთი შემთხვევა, როცა თვითონ მშობლები თავიანთი ძალებითა და სახსრებით ეწევიან სკოლების რემონტს, ამზადებენ მათთვის მერხებს, ამარაგებენ საჭირო ინვენტარით. ტაჯიკეთის რეგარის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „მოსკოვის“ კოლმეურნეებმა ააგეს ახალი სასკოლო შენობა, დაამუშავეს და დასთესეს მიწის ნაკვეთი, უზრუნველჰყვეს მასწავლებლები ბინებით, ამზადებენ სკოლისათვის სათბობს, ზომებს იღებენ იმისათვის, რომ ფრონტელთა ბავშვები ფეხსაცმლითა და ტანისამოსით მოამარაგონ.

მაგრამ უნდა ვაღიაროთ: ყველგან როდი აქვთ ჯერ კიდევ შეგნებული, რომ საჭიროა იზრუნონ მასწავლებლისათვის, შეუქმნან მას მუშაობის ნორმალური პირობები. სამწუხაროდ, მოიპოვებიან ისეთი ხელმძღვანელებიც, რომლებიც ძალიან ცოტას აკეთებენ სკოლისათვის, მასწავლებლებისათვის. ნუთუ ძნელია იმის გაგება, რომ სკოლისათვის, მისი კადრებისათვის ზრუნვა, ომით გამოწვეული ყველა სიძნელის მიუხედავად, ჩვენი საარსებო საქმეა?

მალე დაიწყება ახალი სასწავლო წელი სკოლაში, იბადება მთელი რიგი საკითხები. მომზადებულია თუ არა ყველაფერი? ჩვენში ხომ ხშირად ხდება ასე: დგება დრო სასკოლო მეცადინეობის დაწყებისა, მაგრამ ხედავ: ან ერთი არ არის მოთავებული, ან მეორე, მოთავება კი უკვე დაგვიანებულია—დრო გასულია. სათბობი, სასკოლო ხელსაწყოები, მოსწავლეთა შემადგენლობა, მასწავლებელთა შემადგენლობა—ყველაფერი უნდა მოვიფიქროთ, ყველაფერი თავის დროზე უნდა გავითვალისწინოთ.

სამართლიანია მოთხოვნები, რომ მასწავლებლისათვის მუშაობის ნორმალური პირობები შეიქმნას. მაგრამ აგრეთვე კანონიერია მოთხოვნები სკოლების მუშაკებისადმი: სასკოლო საქმეებში ჯერ კიდევ ცოტა როდია არსებითი ნაკლოვანებანი; ეს ნაკლოვანებანი უნდა აღმოვფხვრათ, უნდა მივაღწიოთ სასკოლო სისტემის ყველა რგოლის სანიმუშო მუშაობას.

წელს იწყებს მოქმედებას რუსეთის სფსრ სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებული წესები მოსწავლეთა ყოფაქცევისა. დაბეჯითებით დავნერგოთ ყოფაქცევის წესები მოსწავლეთა წრეში სასწავლო მეცადინეობის დაწყების პირველ დღიდანვე, აღმოვფხვრათ დისციპლინის დარღვევა სკოლაში, ავამაღლოთ სასკოლო მეცადინეობის ხარისხი—ასეთია ამოცანა.

სახალხო განათლების საკითხებზე ამ ცოტა ხნის წინათ მოსკოვში შემდგარ სრულიად-რუსეთის თათბირის მონაწილენი ამხანაგ სტალინისადმი გაგზავნილ მისალმებაში სწერდნენ:

„დაუღალავად ვიბრძოლებთ საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებისათვის, სკოლის მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, რომელიც უნდა ზრდიდეს მცოდნე, კულტურულ, ფიზიკურად ჯანსაღ და დისციპლინიან, საბჭოთა სამშობლოსადმი უსაზღვროდ ერთგულ ადამიანთა თაობას“.

პარტიისა და მთავრობის, მთელი ხალხის მუდმივი ზრუნვის პასუხად საბჭოთა მასწავლებლობამ უნდა იხმაროს მთელი ძალღონე, მობილიზაცია უნდა უყოს მთელ თავის უნარს, რათა საბჭოთა სკოლადამთავრებული ახალგაზრდობა ღირსი იყოს თავისი დიადი სამშობლოსი, რომელიც ზრდის და დედობრივი ყურადღებით ეპყრობა მას.

უკანასკნელი ცნობები

ინგლისის ორი კუნძულის კაპიტულაცია

ლონდონი, 20 აგვისტო (საკადესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ამერიკის საზღვაო ძალების მოქმედების შედეგად კაპიტულაცია მოახდინეს იტალიის კუნძულებმა ლიპარომ და სტრომბოლომ. (ისინი შედიან ლიპარის კუნძულთა ჯგუფში, რომელნიც მდებარეობენ ტირენის ზღვაში სიცილიის რაიონში).

ინგლისის ავიაციის თავდასხმა ბერლინზე

ლონდონი, 20 აგვისტო (საკადესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ინგლისის „მოსკიტოს“ მარკის თვითმფრინავებმა დაბომბეს ბერლინი.

მოკავშირეთა ავიაციის სხვა შენაერთებმა დაბომბეს გერმანიის აეროდრომები საფრანგეთსა და ჰოლანდიაში. მფრინავთა მოხსენებების მიხედვით, თავდასხმებს კარგი შედეგები ჰქონდა. საპაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 34 თვითმფრინავი.

ბულგარეთში ჰიტლერელთა პარკაუში ნაყოფი

სოფია, 20 აგვისტო (საკადესი). როგორც ბულგარული გაზეთი „სლოვო“ იუწყება, ამ ბოლო დროს ბულგარეთში ფართოდ გავრცელდა ვენერიული ავადმყოფობანი, განსაკუთრებით სიფილისი.

გაზეთი მოუწოდებს მიღებულ იქნას დაუყოვნებლივი და სასტიკი ზომები, ვინაიდან ამ ავადმყოფობათა გავრცელებამ „საში“ ში ხასიათი მიიღო“.

კოლუმბიის მთავრობის გადადგომა

ნიუ-იორკი, 16 აგვისტო (საკადესი). როგორც იუნაიტედ პრეასის სააგენტო ბოგოტადან გადმოგვცემს, კოლუმბიის მთავრობა გადადგა. გადადგომის მიზეზებს არ იუწყებიან.

კიუშეს დაკავებიმრება

ლონდონი, 15 აგვისტო (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის განკარგულებით, ჩრდილოეთ აფრიკაში დაპატიმრეს ვიშის მთავრობის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი პიუშე.

ლონდონი, 16 აგვისტო (საკადესი). რეიტერის სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი ალჟირიდან გადმოგვცემს, რომ ვიშის „მთავრობის“ ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი პიუშე, რომელიც საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომ[illegible] ... [illegible] ... [illegible] ... [

მოკმედი არმია. სატანკო ასეულის მეთაური, ლეიტენანტი ბესარიონ სოკრატის-ძე თუთბერიძე საუცხოოდ ხელმძღვანელობდა თავისი ასეულის სატანკო ბრძოლას. მისმა ასეულმა მოსპო მტრის 20 ტანკი, მათგან 5 „ტ-6“. პირადად ამხ. თუთბერიძემ მოსპო 2 საშუალო ტანკი, 1—„ტ-6“ და 3 ავტომანქანა ქვეითი ჯარიანად. იგი დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით.

ფოტო ი. ოზერსკისა
(საკდესის ფოტოქრონიკა)

მოკმედი არმია. ზემდეგი რადისტი გ. ი. ზიბზიბაძე, სარდლობის დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის დაჯილდოებულია მედლით „მამაცობისათვის“ და წითელი ვარსკვლავის ორდენით. სამამულო ომამდე ამხ. ზიბზიბაძე მუშაობდა ქ. ბათუმში ამიერ-კავკასიის რკინიგზის სალიანდაგო სამსახურის ბრიგადირად.

ფოტო ე. რიაპასოვისა
(საკდესის ფოტოქრონიკა)

უკრაინის მიწა-წყალზე

მოკმედი არმია, 20 აგვისტო (საკდესის სპეც. კორ.). აგვისტოს მცხუნვარე მზის ქვეშ, შამბნარითა და სარეველა ბალახებით გადაჯაჭვული უკრაინის მიწის უზარმაზარი მასივების გასწვრივ (გამოტოვებულია) ფრონტის ხაზისაკენ მიდიან ჯარები, მიემართება საბრძოლო ტექნიკა. მაშველ ძალებს ხვდებიან მებრძოლები და ოფიცრები, რომლებიც მოწინავე ხაზიდან ბრუნდებიან. მათ სახეები გარუჯული აქვთ მტვრისა, მზისა და ბრძოლის კვამლისაგან.

უკრაინის მიწა-წყალზე გაჩაღდა ბრძოლები, რომელთა მასშტაბები განუწყვეტელი იზრდება. გერმანელებმა აქ თავი მოუყარეს ახალ ძალებს. გარდა ამისა, მოწინააღმდეგე გამალებით ეწევა მანევრირებას არსებული ძალებით, სასწრაფოდ გადაჰყავს საშიშ უბნებზე მაშველი ძალები. ჰიტლერელები მზად არიან კბილებით ჩაეჭიდონ უკრაინის მიწას, ოღონდ კი შეაკავონ ჩვენი ჯარების მიწოლა და წინწაწევის საშუალება არ მისცენ მათ. დილაადრიდან გვიან საღამომდე ერთმანეთს მოსდევს გერმანელთა კონტრიერიშები, რომლებსაც ზედიზედ იგერიებენ ჩვენი ჯარები და დიდ ზარალს აყენებენ მოწინააღმდეგეს.

ბრძოლებმა განსაკუთრებულ გააფთრებას მიაღწია უკანასკნელ დღეებში. გერმანელებმა რამდენიმე კონტრიერიში მოიტანეს. ერთ კონტრიერიშს რომ მოვიგერიებდით, მას მეორე მოსდევდა. ჩვენი მებრძოლების წინააღმდეგ მოდიოდნენ მძიმე ტანკები, თვითმავალი ზარბაზნები, ჰიტლერელთა რჩეული ბატალიონები, მართალია, უკვე შებერტყილნი წინა ბრძოლებში. ისინი გაშმაგებით ცდილობდნენ გამოედევნათ ჩვენი ჯარები დაკავებული ზღუდეებიდან, მაგრამ შედეგს ვერ აღწევდნენ.

განუწყვეტლივ ჰქუხს სხვადასხვა ყალიბის არტილერია. იმ უბანზე, რომელიც გერმანელთა მნიშვნელოვან სარკინიგზო კომუნიკაციას ჰფარავს, ჰაერში განუწყვეტელ წყებად მიდიან საბომბავად ჩვენი თვითფრინავები. გერმანელები აქ განსაკუთრებით გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევენ. ჩვენი ჯარები ოსტატური მანევრებით არღვევენ მაგისტრალის მუშაობას, დიდ უბნებზე აფეთქებენ ლიანდაგს.

რაკი გერმანელთა სარდლობამ იმედი დაჰკარგა გაეტეხა საბჭოთა ჯარების შეტევითი აღფრთოვანება ათობით „ვეფხვების“, „ფერდინანდების“ ძალებითა და რჩეული ბატალიონებით, იგი სხვადასხვა ფანდებს მიმართავს. გერმანელები მჭიდროდ ნაღმავენ ადგილმდებარეობას. იმ ადგილებზე, სადაც წითელი არმიის ჯარებმა ბრძოლებით გაიარეს დასავლეთისაკენ, გზების გაყოლებით ჩვენს მესანგრეებს დაუდგამთ გამაფრთხილებელი წარწერები: „ნაღმები“. გზისპირებზე გროვებად აწყვია გერმანელთა ნაღმები. ერთი სოფლის განაპირას გერმანელებს ექვსი ახალ-ახალი საზიდარი დაეტოვებინათ. გეგონებოდათ, ისინი სიჩქარეში დაუტოვებიათო. მაგრამ საქმარისი იყო საზიდარში ჩაჯდომა, რომ აფეთქება მომხდარიყო. მესანგრეთა საფრთხილეთ და სიფხიზლემ თავიდან აგვაცილა ეს აფეთქება.

არც თუ ისე დიდი ხანია, რაც წითელი არმიის ჯარებმა დიეწყეს შეტევა უკრაინის მიწა-წყალზე, მაგრამ უკვე გაგლილია ათობით კილომეტრი, გაგლილია სასტიკი ბრძოლებით, მრავალი დაბრკოლების გადალახვით, გერმანელთა ათობით კონტრიერიშის მოგერიებით. მებრძოლები აუღელვებლად ებმიან ბრძოლაში გერმანელთა „ვეფხვებთან“ და ებრძოლებენ გამოდიან. აი ერთი მაგალითი მრავალთაგან.

ტანკსაწინააღმდეგო თოფების ოცეული წინ მიიწევდა. უეცრად პატარა ტყიდან გერმანელთა ტანკები გამოჩნდნენ. მებრძოლები გაწყნენ. ერთ-ერთი მანქანა წითელარმიელ სოკოლოვის სანგრისაკენ წამოვიდა. ტანკი დიდხანს სტეპნიდა სანგარს, ხან მარჯვნით მიბრუნდებოდა, ხან მარცხნით, თავისი ღერძის გარშემო ბრუნავდა, მაგრამ სოკოლოვი სანგრის ფსკერს გაეკრა და ცოცხალი გადარჩა წავიდა თუ არა ტანკი, სოკოლოვი წამოდგა და სროლა აუტეხა მის უკანა ნაწილს. გერმანელმა ტანკისტებმა შენიშნეს, რომ საცეცხლე წერტი გაეცოცხლდა. ტანკი კვლავ მობრუნდა და კიდევ უფრო მაგრად დაუწყო ტკეპნა სოკოლოვის სანგარს. თითქოს სოკოლოვი ცოცხლივ დაიმარხა მიწაში. მაგრამ ტანკი წინ წავიდა თუ არა, სოკოლოვი აიმართა და თოფის გასროლით დაეხიანა ფაშისტთა მანქანა.

ჩვენი ჯარების შეტევა გრძელდება. კილომეტრი კილომეტრზე თვალის წინ ეშლებათ საბჭოთა მეომრებს უკრაინის მიწა, გერმანელების მიერ ორი წლის ოკუპაციის განმავლობაში გაპარტახებული. სოფლები დაცარიელებულია, ცოცხლად გადარჩენილ მოსახლეობას არც პური აქვს, არც საქონელი ჰყავს, არც შინაური ფრინველი. ყველაფერი შეუთქვლეფია გერმანელ კალიას.

ნ. მარკოვსკი

დეკეოეგი

შვეციის პროვესი გერმანიის მთავრობისადმი

სტოკჰოლმი, 18 აგვისტო (საკდესი). სტოკჰოლმის ყველა გაზეთში მოთავსებულია ცნობა იმის შესახებ, რომ შვეციის საელჩომ ბერლინში პროტესტი განუცხადა გერმანიის მთავრობას იმასთან დაკავშირებით, რომ ნორვეგიის სავაჭრო გემის გერმანულმა ეკიპაჟმა სროლა აუტეხა შვეციის ნაღმოსანს, და წარდგენებით მიმართა მას იმის გამო, რომ გერმანიის სავაჭრო გემმა სროლა აუტეხა შვეციის სამხედრო თვითმფრინავს.

კეღის განცხადება

ვაშინგტონი, 17 აგვისტო (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰელმა განაცხადა, რომ მესინის დაკავება შესანშნავი წარმატებაა, თუ მხედველობაში მივიღებთ მცირე ზარალს, და ამავე დროს უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია იტალიის რაიონის დასაპყრობად. პასუხად კითხვისა, შემოგვთავაზა თუ არა იტალიამ დროებითი ზავი ან შესაძლებელია თუ არა დროებითი ზავი უახლოეს დროშიო, ჰელმა განაცხადა—ამ საკითხზე არავითარი ახალი ინფორმაცია არა მაქვსო.

რუზველტი კვებეკს ჩავიდა

კვებეკი, 17 აგვისტო (საკდესი). ა. შ. შტატების პრეზიდენტი რუზველტი დღეს კვებეკს მოვიდა ჰარი ჰოპკინსის თანხლებით. შას შეხვდნენ ჩერჩილი, მაკენზი კინგი და კანადის გენერალ-გუბერნატორი.

კვებეკს ჩავიდნენ იდენი და კადოგანი

ლონდონი, 18 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი კვებეკიდან გადმოგვცემს, დღეს დღისით იქ ჩავიდნენ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი იდენი და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კადოგანი.

ჰიტლერელები ებუჩად იგდებენ საბჭოთა მოქალაქეებს

სტოკჰოლმი, 17 აგვისტო (საკდესი). როგორც შვედური გაზეთი „აფტონტიდნინგენი“ იუწყება, ოსკარსჰამნში მოვიდა 8 რუსი; მათ მოუხვრხვიათ იმ გემზე დამალვა, რომელიც გერმანიიდან შვეციაში მოდიოდა. ეს პირები აცხადებენ, რომ ისინი არიან არა სამხედრო ტყვეები, არამედ მშვიდობიანი მოქალაქენი ოკუპირებული საბჭოთა რაიონებიდან. ჰიტლერელებს ისინი იძულებით სამუშაოზე გაუგზავნიათ გერმანიაში. გერმანელები 13-14 წლის ბავშვებსაც კი აიძულებენ დღეში 16 საათს იმუშაონ. ბავშვებს ხელფასს არ აძლევენ. მათ შიმშილით ხოცავენ.

იტალიის ფლოტის ადგილსამყოფელის შესახებ

ნიუ-იორკი, 16 აგვისტო (საკდესი). როგორც იუწყება იუნაიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი, რომელიც იმყოფება მოკავშირეთა ჯარების შტაბთან ჩრდილოეთ აფრიკაში, საავიაციო დაზვერვით გამორკვეულია, რომ იტალიის ფლოტი ბაზად იყენებს იტალიის ჩრდილოეთ და დასავლეთ სანაპიროებს, უმთავრესად სპეციაში. გენუასა და ნეაპოლში. იტალიის წყალქვეშა ნავები ფაქტიურად გაჭქრნენ ხმელთაშუა ზღვის რაიონიდან, და მოკავშირეთა გემებს შეუძლიათ ისე იმოძრაონ რომ დაბრკოლებას არ ხვდებიან.

ინგლისელ ინჟინრებს ეშინიათ

ლონდონი, 18 აგვისტო (საკდესი). ინგლისელ ინჟინრებს ეშინიათ, ეგონებოდეთ, ისინი ნაცისტებს ეხმარებიან. ინგლისელ ინჟინრებს ეშინიათ, ეგონებოდეთ, ისინი ნაცისტებს ეხმარებიან. ინგლისელ ინჟინრებს ეშინიათ, ეგონებოდეთ, ისინი ნაცისტებს ეხმარებიან.

პარტიული ცხოვრება

საორგანიზაციო-საპროპაგანდო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის

პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის საამამულო ომის მოთხოვნათა სიმაღლეზე დაყენებისათვის თიანეთის რაიონში სერიოზული მუშაობა ტარდება. ომამდელ პერიოდთან შედარებით ამაღლდა ლექციების, კონსულტაციებისა და მოხსენებების ხარისხი, გაიზარდა მათი რაოდენობა. თემატიკა ძირითადად განისაზღვრა: სამხედრო-თავდაცვითი, მიმდინარე პოლიტიკის და საყ. კ. პ. (ბ) ისტორიის ოქტომბრის რევოლუციისშემდგომი პერიოდის საკითხებით.

საამამულო ომის მანძილზე რაიონში ჩატარებულია 406 ლექცია და მოხსენება, 184 ჯგუფური კონსულტაცია, ცალკე საუბრები პარტიის ისტორიის, მიმდინარე პოლიტიკის, პარტიის წესდებისა და პროგრამის საკითხებზე. იდეოლოგიური ხელმძღვანელობათვის ჩატარებულია და ტარდება სემინარები, ბოლო ავიტატორთათვის — სარაიონო თათბირები. პარტკაბინეტში ინდივიდუალური კონსულტაციის მისაღებად ბევრი მშრომელი მოდის. მათ საათანადო დახმარება ეწევათ ლიტერატურითა და რჩევა-დარიგებით.

პარტიულმა კაბინეტმა გამოსცა ცალკე ოთახი, რომელიც გაფორმებულია სამამულო ომის აშსახველი მასალებით, მოწყობილია სამხედრო კუთხე, გამოფენილია ლიტერატურა, სხვადასხვა მასალები ლექტორთა, კონსულტანტთა და აგიტატორთა დასახმარებლად. მოწყობილია სამამულო ომის სახელოვანი მებრძოლებისა და ფრონტისათვის თავდადებულად მომუშავე ადამიანების ფოტოსურათების გამოფენა.

რაიონში 14 ლექტორი ეწევა სალექციო მუშაობას. არსებობს მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი 14 წრე, ხოლო საყ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი—1. წრეებში გაერთიანებული იყო 252 ამხანაგი, აქედან სწავლების კურსი დაამთავრა 161 მსმენელმა. წრის მსმენელებიდან გავლილი მასალა კარგად აქვთ შეთვისებული ამხანაგებს: ლ. ჯაბანიშვილს, ე. დალაქიშვილს, კ. კაცელაშვილს, ლ. ფხალაძეს, ელ. მაჩურიშვილს და სხვ. წრეების ხელმძღვანელებიდან უკეთ მუშაობდნენ პროპაგანდისტები ალ. ბუწნაკალური, რ. ლეკერაშვილი და გრ. მაჭავარიანი.

რაიონის 11 აგიტკოლექტივი აერთიანებს 180 აგიტატორს, რომლებიც მშრომელთა ფართო მასებში მგზნებარე ბოლშევიკური აგიტაციას ეწევიან. მოწინავე აგიტატორები შუშანაშვილი, გონჯილაშვილი, ბუჯიაშვილი, ჭურუნიშვილი, ჯიმშიტაშვილი, ბიჩინაშვილი, ცალუღელაშვილი, იორამაშვილი, მეძველაშვილი, ჯაბანაშვილი, ლეკერაშვილი რიგიშვილი და სხვები წინასწარ საფუძვლიანად ემზადებიან საუბრებისათვის, საკოლეურნეო ბრიგადებში, რგოლებში გასაგები ენით მოუთხრობენ კოლმეურნეებს გერმანელ ფაშისტთა მხეცობაზე, გერმანიის ფაშიზმის განადგურების გარდუვალობაზე, წითელი არმიის ბრძოლა ბრძოლებზე, ფრონტისა და ზურგის მტკიცე კავშირზე.

ბოლშევიკურმა აგიტაციამ დიდად შეეწყო ხელი რაიონის მშრომელთა ფართო მასების შემდგომს დარაზმვას ფრონტისადმი დახმარების ყოველმხრივი გაძლიერებისათვის. რაიონის მოწინავე ადამიანები შედიან ლენინ-სტალინის პარტიის რიგებში. 1943 წლის პირველ ნახევარში ინდივიდუალური შერჩევის პრინციპის მტკიცედ დაცვით პარტიაში მიღებულია 115 ამხანაგი. აქედან საყ. კ. პ. (ბ) წევრად 65, წევრობის კანდიდატად —50.

ამჟამად რაიონში გაცხოველებით მიმდინარეობს მოსავლის აღება. კარგად მუშაობენ სოფ. გორანის ტიმოშენკოს სახელობის (თავმჯდომარე გ. იდუკაშვილი), სოფ. ეკეოტის კიროვის სახელობის (თავმჯდომარე ი. დოლიაშვილი), დულუზაურების შეროზიას სახელობის, (თავმჯდომარე რ. ჯაბანიშვილი), ნაქალაქრის კოტლამაზაშვილის სახელობის (თავმჯდომარე შ. კოკოსაშვილი), ბალებისზეგის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავი“ (თავმჯდომარე ბ. არაბული), ხევსოფლის კოლმეურნეობა „ჯეჯილი“ (თავმჯდომარე ზ. კენკიშვილი), თიანეთის ჩარკვიანის სახელობის, (თავმჯდომარე ი. ზატუაშვილი) კოლმეურნეობები და სხვ. მოსავლის აღებას წარმატებით ჩატარებისათვის იბრძვიან აგიტატორ-პროპაგანდისტებიც. ისინი კოლმეურნეებს უკითხავენ უმაღლესი მთავარსარდლის სიტყვათა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის ბრძანებას და განუმარტავენ, რომ მოსავლის უდანაკარგოდ აღება შემტევი წითელი არმიისადმი დახმარებაა. თიანეთის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ი. ზატუაშვილი) წევრებმა ამხანაგ სტალინის ბრძანების საპასუხოდ ახალი ვალდებულებები აიღეს. მათ 1943 წლის მოსავლის ვადაზე ადრე და უდანაკარგოდ აღებისთვის სოციალისტური შეჯიბრებაში გამოიწვიეს ფილიპე მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა. საჟურის კოლმეურნეობა „ხეცსურთ წინსვლამ“ (თავმჯდომარე დ. ჭინჭარაული) ვალდებულება იკისრა 12 სამუშაო დღეში აიღოს მოსავალი და შეჯიბრებაში გამოიწვია სოფ. მამადაანების კოლმეურნეობა „გზანთიადი“. ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის გაჩაღებული ბოლშევიკური აგიტაცია.

მაგრამ მიღწეულებთან ერთად საორგანიზაციო-საპროპაგანდო მუშაობაში გვაქვს ნაკლოვანებებიც. ზოგიერთი პროპაგანდისტი და აგიტატორი არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. მაგალითად, ამხ. გრ. ჭინჭარაული (რაიაღმასკომი) და ი. ლეკერაშვილი (სემინარიანთხევის სასოფლო საბჭო) სუსტად ხელმძღვანელობენ მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელ წრეებს. აგიტატორები გ. გრიგორიანი (ნაქალაქრის კოტლამაზაშვილის სახელობის კოლმეურნეობა), თ. ბატუტაშვილი და ბ. ბაბუნიძე (ეკეოტის კიროვის სახელობის კოლმეურნეობა), კ. ქუნცარაშვილი (ზარიძეების ვაჟაფშაველას სახელობის კოლმეურნეობა) და სხვ. მოუმზადებლად ატარებენ აგიტაციას.

რაიონის მშრომელები აღფრთოვანებით შეხვდნენ ამხანაგ სტალინის წიგნის—„საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ გამოსვლას. დიდი ბელადის ამ ისტორიული წიგნის ღრმად, საფუძვლიანად შესწავლა გვრაზმავს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად და კიდევ უფრო განვითარებულებს ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვების ღრმა რწმენას.

ჩვენ ყველა ზომას მივიღებთ, რომ საორგანიზაციო-საპროპაგანდო მუშაობა სამამულო ომის მოთხოვნათა სიმაღლეზე დავაყენოთ, დავრაზმოთ აგიტატორ-პროპაგანდისტთა მთელი ძალები დიდი ბელადის და მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ბრძანულ მითითებათა განუხრელად შესრულებისათვის.

ი. ღუდუშაური
საქ.კ.პ.(ბ) თიანეთის რაიკომის მდივანი

სწავლობენ ამხანაგ სტალინის წიგნს

ჭიათურა („კომუნისტის“ საკ. კორ.). ჭიათურის მშრომელები შეუდგნენ ამხანაგ სტალინის წიგნის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ შესწავლას. ქალაქში შეიქმნა ამხანაგ სტალინის წიგნის შემსწავლელი 19 წრე, რომელთა ხელმძღვანელებად დამტკიცებული არიან კვალიფიციური პროპაგანდისტები. საქალაქო პარტკაბინეტში მოეწყო გამოფენა დამოუკიდებლად შემსწავლელთა დასახმარებლად.

მარგანეცის ქალაქის ინტელიგენცია, მოწინავე მაღაროელები და მშრომელთა უმრავლესობა ამხანაგ სტალინის წიგნს დამოუკიდებლად სწავლობენ.

ჯ. ჭიოკაძე

ქუთაისის პროფკავშირული ორგანიზაციების საქალაქო აქტივის კრება

ქუთაისი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ამასწინათ ალ. წულუკიძის სახელობის პარტგანათლების სახლში შესდგა ქალაქ ქუთაისის პროფკავშირული ორგანიზაციების აქტივის საქალაქო კრება, რომელიც გახსნა საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გრ. ნარსიამ.

ქუთაისის პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. სტურუა.

თავის მოხსენებაში ამხ. ნ. სტურუა დაწვრილებით შეეხერდა პროფკავშირების, ამოცანებზე საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ვითარებაში და იმაზე, თუ როგორ იბრძვიან ქ. ქუთაისის პროფკავშირული ორგანიზაციები მათ წინაშე მდგომ ამოცანათა წარმატებით განხორციელებისათვის. მომხსენებელმა გააკრიტიკა მთელ რიგ საწარმო-დაწესებულებათა პროფკავშირული ორგანიზაციები და დასახა გზები მხილებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

ამხ. ნ. სტურუას მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ გ. კაჭკაჭაშვილი, ვ. კანკავა, გრ. ავალიანი, ა ქვარიანი, ვ. გალდავა, შ. რუხაძე, ნ. ლაღაძე, გ. ანასტასიადი და სხვ. აქტივის საქალაქო კრების მუშაობა შეაჯამა ამხ. გრ. ნარსიამ. აქტივის კრებამ განხილული საკითხის გამო მიიღო პრაქტიკული დონისძიებანი.

გ. სამხარაძე

მივცეთ ფრონტსა და ქვეყანას მეტი და მაღალხარისხოვანი მარგანეცი

ჭიათურა („კომუნისტის“ საკ. კორ.). ფრონტი და სამშობლო, ჩვენი ქვეყნის მეტალურგიული ქარხნები ყოველდღიურად მეტსა და მეტს მარგანეცს მოითხოვენ. ჭიათურელი მაღაროელები თავდადებულად მუშაობენ, რათა შეასრულონ ეს სამამული ამოცანა—გამოიღონ მეტი და მაღალხარისხოვანი მარგანეცი.

ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს (დირექტორი დ. ერგემლიძე, პარტბიუროს მდივანი ვ. თურქაძე) საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა მარგანეცის გამოღებისა და სასაქონლო პროდუქციის დამზადების ივლისის გეგმები. პეროქსიდის გამამდიდრებელი ქარხნის კოლექტივმა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების შედეგად 7 თვეში პროდუქციის რეალიზაციით მიიღო 1.634.775 მანეთი მოგება.

მაგრამ მაღაროს კოლექტივმა ცუდად დაიწყო აგვისტო. მარგანეცის გამოღებისა და გარეცხვის აგვისტოს პირველი ნახევრის დაგვიანება მნიშვნელოვანი დანაკლისით შესრულდა. აგვისტოში ცუდად მუშაობს სტალინის სახელობის მაღაროც (დირექტორი ს. ჯაფარიძე, პარტბიუროს მდივანი ა. ყაოშვილი). მარგანეცის გამოღებისა და სასაქონლო პროდუქციის დამზადების სადღეღამისო დავალება მხოლოდ 70-80 პროცენტით სრულდება. აგვისტოს პირველ ნახევარში ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა ქვეყანას დააკლო რამდენიმე ასეული ტონა მარგანეცი

რა იწვევს ჩამორჩენას?

მაღაროებში მაქსიმალური დატვირთვით არ იყენებენ მექანიზმებს, ნაკლები ყურადღება ექცევა მათ მოვლა-პატრონობას. სტალინის სახელობის მაღაროო 90 პროცენტით მექანიზებულია. მარგანეცის გამოღება აქ ძირითადად მექანიზმებზეა დამოკიდებული. მაგრამ მათ სრული დატვირთვით როდი ამუშავებენ. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს: მაღაროს სახელოსნოში შეუკეთებელი და გამოუყენებელია 22-კილოვატიანი ელექტროძრავა. ელექტროძრავის შეუკეთებლობის გამო მეორე უბნის № 82 შტრეკში სამ დღეს უმოქმედოდ იდგა ჯალამბარი და სანგრევებში გეგმა არ სრულდებოდა. მეშვიდე გვირაბში ჯაბელი მიწისა და ვაგონების ქვეშ იყო მოქცეული, ხოლო მეორე უბნის № 93 სანგრევში ელბურღვის კაბელი მადნით იყო დაფარული. მაღაროში 8 ელმავლიდან მხოლოდ 3 მუშაობს და ისინიც მოუვლელია, ნაწილები დაიკარგა, მათ ფუჭი ქნინი აყრია. არც ელექტრობურღებია უკეთეს მდგომარეობაში. მათ მჭრელები არა აქვთ და ბურღავ ყველა უბანში ერთდროულად არ ხერხდება. ეს აფერხებს მარგანეცის მონგრევასა და გამოღებას. მჭრელები ნშირად ცვდება, შპურის დიამეტრი ნაცვლად 42 მილიმეტრისა 34 მილიმეტრია. ესეც მოქმედებს მარგანეცის მონგრევაზე. სრული დატვირთვით ვერ იყენებენ საყვლავ მანქანებსაც. მეორე უბანში მემანქანე მეგრელიშვილი დაუდევრად ეპყრობა მანქანას, არ უფრთხილდება მას. მექანიზმების გამოუყენებლობით აიხსნება, რომ პირველ უბანში 8 სანგრევიდან მხოლოდ 4 მუშაობს, ხოლო მეოთხე უბანში 10 სანგრევიდან—6 სანგრევი.

მექანიზმებს მაქსიმალურად ვერ იყენებენ აგრეთვე ორჯონიკიძისა და კაგანოვიჩის სახელობის მაღაროებში. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროში 6 ელექტრობურღი ხშირად ცდება სათადარიგო ნაწილების უქონლობით. ცუდად მუშაობს საჰაერო გზაც, რომელიც ძალიან აფერხებს მარგანეცის გამოღებისა და გადაზიდვის გეგმის შესრულებას. დაუდევრობას აქაც ვხვდებით. ელექტრობურღის მემანქანე შ. შუკაკიძე მექანიზმს არ უფრთხილდება, არ ზეთავს და ეს იწვევს მექანიზმის მოშლას, წარმადობის დაცემას.

მექანიზმის მოვლისა და გამოყენების საკითხი ამ დღეებში განიხილა საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის ქალაქკომის ბიურომ. იმავე საკითხზე იმსჯელეს მაღაროთა პარტიულ კრებებზე. დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა გატარება უზრუნველჰყოფს მარგანეცის გამოღების გადიდებას.

თვალისჩინეთით გავუფრთხილდეთ მექანიზმებს, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ისინი, მიეცეთ ფრონტსა და სამშობლოს მეტი და მეტი მარგანეცი, ახალი გამარჯვებებით შეეგებოთ სტახანოვური მოძრაობის VIII წლისთავს.

ჯ. ჭიოკაძე

სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული სასოფლო კოოპერაციები

საკავშირო პროფსაბჭომ და „ცენტროსოიუზმა“ განიხილეს რა სრულიადსაკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, გამარჯვებულად აღიარეს საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ზუგდიდის რაიონის ორჯონიკიძის სასოფლო კოოპერატივი (თავმჯდომარე ამხ. ბ. ჯიქია, ადგილკომის თავმჯდომარე ამხ. ნინო როგავა). აღნიშნულმა სასოფლო კოოპერატივმა მიმდინარე წლის მეორე კვარტალის საწარმოო-საფინანსო გეგმები და საქონელბრუნვის გეგმა საკრძნობი გადაჭარბებით შეასრულა და მუშაობის ყველა დარგში მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია.

ცეკავშში მიიღეს ცნობა, რომ საკავშირო პროფსაბჭოს და „ცენტროსოიუზის“ ეიურის დადგენილებით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე კვარტალში გამარჯვებულ სოფ. ორჯონიკიძის კოოპერატივს მიანიჭეს „საუკეთესო სასოფლო კოოპერატივის“ სახელწოდება, დაჯილდოვეს საკავშირო პროფსაბჭოს და „ცენტროსოიუზის“ გარდამავალი წითელი დროშით და მისცეს პირველი პრემია.

მხარვრული თვითმოქმედების საკავშირო დათვალიერება

თბილისის საქალაქო კომისიაში

საკავშირო პროფსაბჭოსა და ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტის დადგენილებით წელს ქალაქებში ტარდება მხატვრული თვითმოქმედების საკავშირო დათვალიერება, რომლის მიზანია ფაბრიკა-ქარხნების, თვითმოქმედი წრეების მუშაობის გამოცოცხლება.

დადათვალიერებაში, რომელიც 15 ივლისს დაიწყო და 15 სექტემბერს დამთავრდება, მონაწილეობენ თეატრალური წრეები, მომღერალთა გუნდები, ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები, ორკესტრები, ინდივიდუალური შესრულებანი.

მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებას ქალაქებში ხელმძღვანელობენ საქალაქო კომისიები, ხოლო საწარმოებში—ადგილობრივი კომისიები. თბილისში დათვალიერებას ხელმძღვანელობს კომისია, რომელშიაც შეტანილნი: ი. გვინჩიძე (თავმჯდომარე), პ. კანდელაკი, გ. გაბედავა, ვ. ძაგანია, გ. ყორიჯანიშვილი, ა. შენგელია, ჯ. ვენაძე, გ. კოკილაძე და გ. კოსტავა.

ხელოვნების საქმეთა სამმართველომ და ხელოვნების მუშაკთა კავშირმა საწარმოებს მიმართეს, ეცნინა ოსტატები, ხელმძღვანელობდნენ ხელოვნებიან თვითმოქმედ წრეებს. ასე, მაგალითად, თამბაქოს ფაბრიკაში მუშაობენ ... ოსტატები, ... ოსტატები, ... ოსტატები,